ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4164417

ნომერი: AR1629594

თარიღი : 10.09.2018

გაცემის თარიღი : 12.09.2018

გაცნობის თარიღი : 12.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თინათინ ჩხენკელი პ/ნ 01024028166
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 25 ბ. 45

ორგანიზაცია:
- სს "ხალიკ ბანკი საქართველო" კოდი: 205236537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
-ვინაიდან არსებული შენობა, მშენებარეა და არ არის ექსპლუატაციაში მიღებული სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ბანკომატის განთავსებასთან, შშმპ პირთა განკუთვნილი პანდუსის მოწყობასთან და ვიტრაჟების რეკონსტრუქციასთან მიმართებაში. შესაძლებელია მხოლოს სარეკლამო აბრის განთავსება.
სარეკლამო ვერტიკალურ აბრასთან მიმართებაში გაითვალისწინეთ: საჭიროა საპროექტო ფოტომონტაჟზე მიუთითოთ ყველა სარკეონსტრუქციო ელემენტის გაბარიტული ზომა, მათ შორის გრუნტის ზედაპირიდან საჩრდილობლის ძირამდე მანძილი და ფასადიდან საჩრდილობლის გადმოწევის მანძილი. გაითვალისწინეთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად დასაშვებია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა.
-საკადასტრო გეგმაზე კონტურით მონიშნეთ სარეკლამო აბრის განთავსების არეალი.
-სარგებლობის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მეიჯარის წინასწარ თანხმობას ბანკომატის განთავსებაზე შესაბამისდ ან წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.